საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2822/01
23/03/2021

2822-01-2-202103231715

შპს „როინპეტროლს“

მის: ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. N96ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 4 მარტის N3852 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, თაბუკაშვილის ქ. N96ა-ს მიმდებარედ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ავტოგასამართი სადგურის საკადასტრო კოდი **03.05.25.0430** საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაცილებულია 50 მეტრით, თუმცა წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ტერიტორიის ახლოს მდებარე სხვა ობიექტების შესახებ, დანიშნულების მითითებით (მაგ. ტერიტორიის მომიჯნავედ, კერძო პირის საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობაზე);
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილ 4 რეზერვუარში შესაბამისი საწვავის განთავსების საკითხი (საწვავის სახეობა და მოცულობა);
- დასაზუსტებელია ნავთობპროდუქტების მიღების და ავზებში ჩატვირთვის შესახებ ინფორმაცია (ტრანსპორტირების ტიპის და პერიოდულობის მითითებით);
- სათანადოდ არ არის შეფასებული ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების საკითხები;
- დასაზუსტებელია ასევე ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზის წყალმომარაგების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლები ავტოგასამართი ტერიტორიიდან ხვდება საქალაქო გამტარ არხში. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული არხის მდებარეობა (ჩაშვების წერტილის კოორდინატი), ასევე მფლობელის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, რეზერვუარების მოწყობის ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელდება, თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ დაგეგმილია საოპერატორო, საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული და სხვადასხვა დამხმარე სათავსოების განთავსება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოები და ასეთის არსებობის შემთხვევაში

მათი ზემოქმედების საკითხი. ასევე ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ნავთობდამჭერიდან ამოღებული შლამი და ნავთობპროდუქტები დაგროვდება შემკრებ ჭაში და დადგენილი წესით გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს. სკრინინგის ანგარიშში მოცემული არ არის სათანადო ინფორმაცია ნავთობდამჭერიდან ამოღებული შლამის დროებითი განთავსების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართ სადგურს არ გააჩნია მაღალი ხმაურის წარმომქმნელი წყარო. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით, უახლოესი მოსახლე საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია 50 მეტრით, თუმცა სკრინინგის დოკუმენტაციაში საერთოდ არ არის შეფასებული ხმაურის გავრცელების საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე